სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

**საკრებულოს წევრი(თანამდებობის პირი)** – ნანა ლეკიაშვილი

**თანამდებობის დასახელება** - ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარის მოადგილე

**ფრაქციის დასახელება** - „ქართული ოცნება - მრეწველები"

**კომისიის დასახელება** - იურიდიული კომისია; კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია.

**არჩევის წესი** - მაჟორიტარული (სიღნაღი, სოფ.ილიაწმინდა)

**საანგარიშო პერიოდი** - 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 30 ოქტომბრამდე

**ანგარიშის ტიპი(რიგითი, რიგგარეშე)** - რიგითი

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა**

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 18

   *საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 17

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 14

   *კომისიის სხდომებზე დასწრება - 12 (კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია - 7 ( იურიდიული კომისია - 5).

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 3

   *ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები -

   ინიცირებულ საკითხებზე გამოიცა სამართლებრივი აქტები -

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

საკრებულოს სხდომებზე გამოტანილი, ჩემ მიერ მხარდაჭერილი ყველა საკითხი, რომლის განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა, იყო მნიშვნელოვანი.

6. საკრებულოს წევრის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები:

ა) სოფ. ილიაწმინდის საჯარო სკოლაში შიდა სველი წერტილების მოწყობა;

ბ) სოფ. ილიაწმინდის №22 საბავშვო ბაღში სანტექნიკური მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები;

გ) სოფ.ილიაწმინდაში სხვადასხვა უბანში გარე განათების მოწყობა;

დ) სოფ. ილიაწმინდაში საჯარო სკოლის შესასვლელის ბეტონის საფარით მოპირკეთება და სანიაღვრე სისტემის გაკეთება;

ე) იწყება სოფლის ამბულატორიის მშენებლობა.

7. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 22 და თითოეულ შეხვედრაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა 60-70.

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

დასაქმებასთან დაკავშირებული, სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხები.

სოფ.ილიაწმინდის მაცხოვრებლების საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების რეგისტრაცია, სოფლის „ციგნებისა" და „წისქვილის" უბნებში გარე განათების მოწყობა. ასევე მოასფალტება.

---

---

---

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები -

(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

---

---

---

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

რეკომენდაცია გაეწია მოქალაქეებს ფინანსური დახმარების მისაღებად.

ჩემი ინიციატივით მოვიძიე ქველმოქმედი ბუნებრივი წყლის სათავე-ნაგებობის გაწმენდა-გასუფთავებისათვის და ამჟამად სოფელს მიეწოდება სუფთა წყალი. ასევე, დავეხმარე სოფლის ახალგაზრდებს პარკში ელექტრონული მუსიკის სალონის მოწყობაში.

შევსების თარიღი: 30.10.2019 წელი

წარდგენის თარიღი: 30.10.2019 წელი

ხელმოწერა:

## სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნანა ლეკიაშვილის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ილიაწმინდას მაჟორიტარი დეპუტატი. ვარ ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები" ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, იურდიული და კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი.

წლის საანგარიშო პერიოდში დავესწარი საკრებულოს 18 სხდომიდან 17-ს, კომისიის 14 სხდომიდან 12.(სოციალურ საკითხთა კომისია-7 იურიდიული კომისია-5) ჩატარდა ფრაქციის 3 სხდომა, დავესწარი 3- ს აქტიურ მონაწილეობას ვიღებ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. ვხვდები სოფლის ამომრჩევლებს და ვეხმარები პრობლემების გადაჭრაში.

რეკომენდაცია გავუწიე მოქალაქეებს ფინანსური დახმარების მისაღებად.

ამ წლის საანგარიშო პერიოდში ილიაწმინდაში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

1.სოფ.ილიაწმინდას საჯარო სკოლაში მოეწყო შიდა სველი წერტილები, მოხდა სკოლის შესასვლელის ბეტონის საფარით მოპირკეთება და სანიაღვრე სისტემის გაკეთება.

2.სოფ. ილიაწმინდის N22 საბავშვო ბაღში სანტექნიკური მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები შესრულდა.

3. გაკეთდა სხვადასხვა უბანში გარე განათება.

4. იწყება სოფლის ამბულატორიის მშენებლობა.

5. ჩემი ინიციატივით მოვიძიე ქველმოქმედი ბუნებრივი წყლის სათავე -ნაგებობის გაწმენდა გასუფთავებისთვის და ამჟამად სოფელს მიეწოდება წყალი. დავეხმარე სოფლის ახალგაზრდებს პარკში ელექტრონული მუსიკის საღამოს მოწყობაში.

ილიაწმინდის მოსახლეობა ითხოვს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას . როგორიცაა, საცხოვრებელი და საკარმიდამო ნაკვეთების დაკანონებას, დარჩენილ უბნებში გარე განათების მოწყობას, სასმელი წყლის ჭაბურღილის დამატებას, სტადიონთან ტრენაჟორების მოწყობას. ჩემი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში მაქსიმალურად ვეცდები სოფლის პრობლემების მოგვარებას

საკრებულოს წევრი: ნანა ლეკიაშვილი